საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
**საქპატენტი**
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 144

28/05/2021

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმა“;

2. საქპატენტის სტრუქტურულ ერთეულებს კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ ამ ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფა;

3. ეს ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გაცნობისთანავე;

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი N1964 28/05/2021

**მინდია დავითაძე**

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარე

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის -

„საქპატენტის“ მხრიდან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის

2021 წლის სამოქმედო გეგმა

## სარჩევი


შესავალი ..... 2
ხედვა ..... 3
არსებული მდგომარეობა ..... 3
სამოქმედო გეგმა ..... 5
მონიტორინგი და ანგარიშგება ..... 5

დანართი 1 ..... 6

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომ – საქპატენტი) მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული საქმიანობის 2021 წლის სამოქმედო გეგმას.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის[1] და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის[2] პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომლებიც 2021 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას და ინკლუზიური გარემოს შექმნას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა უწყების ყველა რელევანტური სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. საბოლოო ვერსია კი შესათანხმებლად წარედგინა უწყების ხელმძღვანელობას. აგრეთვე, უყწებათაშორისი კოორდინაციის ფარგლებში, დოკუმენტი დამუშავდა მთავრობის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

## საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

სამოქმედო გეგმა, ერთი მხრივ, ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და მდგრადი განვითარების მიზნები[3] (SDGs) და, მეორე მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ კი იმას, რომ „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.“

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN CRPD)[4] კონვენციის რატიფიკაციით აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2015 წლიდან დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესი. მდგრადი

[1] https://matsne.gov.ge/document/view/2334289?publication=0
[2] https://matsne.gov.ge/document/view/4923984?publication=1
[3] Sustainable Development Goals (SDGs)
[4] The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities

განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა მიმართულია გაეროს ყველა წევრი ქვეყნისთვის უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას არაერთი მიზანი და ამოცანა ეხმიანება (მიზანი 3, მიზანი 4, მიზანი 5, მიზანი 8, მიზანი 9, მიზანი 10 ).

აღნიშნული ვალდებულებების საპასუხოდ, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას ეროვნულ დონეზე და შშმ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ქმნის საკანონმდებლო გარანტიებს. კანონი უზრუნველყოფს შშმ პირთა შესაძლებლობების განვითარების დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის, ასევე, ნებისმიერ სფეროში მომსახურების ხელმისაწვდომობის მიღწევას.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოების, შესაბამისად, საქპატენტის უფლება-მოვალეობებს კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის პროცესში. კერძოდ, კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს:

- შენობა-ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ადაპტირება;
- ყველა სერვისის სრული ხელმისაწვდომობა;
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- კადრების მუდმივი გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების სტრატეგია[5], რომელიც, საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სერვისების მიწოდების კომპონენტის ფარგლებში, შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის ნოემბერში.

## ხედვა

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ისეთი ინკლუზიური გარემოს შექმნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობები მრავალფეროვნების ბუნებრივი ნაწილია და ნებისმიერ ინდივიდს დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა.

## არსებული მდგომარეობა

2021 წლის აპრილის მდგომარეობით, უწყებაში უკვე დაწყებულია შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებისა და ადაპტირების პროცესი. კერძოდ,

[5] დამტკიცებული 2020 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავრობის № 2275 განკარგულებით „საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების 2020 წლის გეგმა“.

- 2020 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სარემონტო სამუშაოების შედეგად, მცხეთის ოფისში მოეწყო შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი;
- უწყების ვებგვერდი (www.sakpatenti.gov,ge) ნაწილობრივ ადაპტირებულია მხედველობადაქვეითებულ პირთა საჭიროებებზე (შესაძლებელია ფერის, კონტრასტისა და ფონტის ზომის ცვლილება);
- ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსის ფორმატი ითვალისწინებს სმენა და მხედველობადაქვეითებულ პირთა საჭიროებებს (სასწავლო მასალა მოცემულია ტექსტური და აუდიო ფაილების სახით);
- „უსინათლო, მხედველობადაქვეითებულ ან ბეჭდვის აღქმის უნარის სხვაგვარად შეზღუდულ პირთათვის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე წვდომის ხელშეწყობის შესახებ მარაქეშის შეთანხმებასთან“[6] საქართველოს მიერთების მიზნით, ხორციელდება შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები.

## პრიორიტეტული ამოცანები

2021 წლისთვის გამოიკვეთა 4 პრიორიტეტული ამოცანა და 12 აქტივობა, რაც პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და ვადების მითითებით გაწერილია სამოქმედო გეგმაში.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და ღონისძიებები, საბოლოო ჯამში, მიმართულია თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული და მდგრადი უწყებრივი პოლიტიკის განხორციელებისკენ, რათა **შშმ პირთა უფლებები სრულყოფილად იყოს რეალიზებული** და საქპატენტის **სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომი და კომფორტული იყოს ნებისმიერი მომხმარებლისა თუ დაინტერესებული პირისთვის.**

ამოცანა 1: არსებული **სიტუაციის შეფასება, საჭიროებათა დადგენა და გასატარებელი ღონისძიებების უწყების პოლიტიკის დოკუმენტებში** ასახვა, ასევე, ეფექტიანი შიდაუწყებრივი საკოორდინაციო მექანიზმის დანერგვა, რა დროსაც უზრუნველყოფილი იქნება შშმ პირთა თემთან და სფეროს ექპერტებთან კომუნიკაცია.

ამოცანა 2: საქპატენტის სერვისების შესახებ შშმ პირთა **ინფორმირება** და მომსახურების მიწოდების დროს **კომუნიკაციის მისაწვდომობის გაზრდა.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მომსახურების სრული, სხვათა თანასწორი და ეფექტური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, აუცილებელია, შშმ პირები ფლობდნენ არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციას, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია უშუალოდ მომსახურების განმახორციელებლების მიერ კომუნიკაციის ისეთი უნარების და ცოდნის ქონა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეხმარება მომსახურებებზე წვდომასა და მიღებაში.

ამოცანა 3: ინფრასტრუქტურის ეროვნული სტანდარტის შესაბამისად ადაპტირება, რაც **გაუმჯობესებს ფიზიკურ მისაწვდომობას.**

[6] https://www.wipo.int/marrakesh_treaty/en/

ამოცანა 4: **თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება** შშმ პირთა უფლებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

## სამოქმედო გეგმა

იხილეთ დანართი №1 სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

## მონიტორინგი და ანგარიშგება

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი. ანგარიში წარედგინება თავმჯდომარეს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობას გაუწევს კანონით გაწერილი ვალდებულებების შესრულებას.

ამას გარდა, აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები აისახება ადამიანის უფლებათა დაცვის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში, რომლის აღსრულების კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო (სამსახური). ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგს ყოვეწლიურად ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოს გავლით, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

*<u>დანართი 1</u>*

| № | ამოცანა/ აქტივობა | შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამსახური, სასწავლო ცენტრი) | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო | | | საფუძველი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ადმინის-ტრაციული რესურსი | პარტნი-ორი ორგანი-ზაცია | დონორი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | **შშმ პირთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების მიზნით, თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული და მდგრადი უწყებრივი დონის პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება** | | | | | | | | | |
| 1.1 | უწყების მიერ საქმიანობის განხორციელებისა და სერვი-სების მიწოდების პროცესში შშმ პირთა (სენსორული, ფიზიკური, ფსიქიკური, ინ-ტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა) ფიზიკური, ვირტუალური, სოციალური (ქცევა და კომუნიკაცია) და ინფორმაციის **მისაწვდომობის უზრუნველ-საყოფად** მარეგულირებელი ეროვნული ან/და საერთაშო-რისო **სტანდარტების იდენ-ტიფიცირება** | სტანდარტები /მეთოდები იდენტიფიცი-რებულია | სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი | შიდასუწყებო სამუშაო ჯგუფი | კონსულ-ტაცია და კოორდი-ნაცია მთავრო-ბის ადმინის-ტრაციას-თან, ასევე, შშმ პირთა უფლებე-ბზე მომუშავე დონორ ორგანიზა-ციებთან | II კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებე-ბის შესახებ კანონის 21-ე მუხლი |
| 1.2 | არსებული სიტუაციის შეფა-სება/ანალიზი/ინვენტარიზაც ია და შესაბამისი დასკვნების მომზადება წერილობითი ან-გარიშის სახით | ანგარიში მომზადებუ-ლია | ანგარიში | შიდასაუწყებო სამუშაო ჯგუფი | | III კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებე-ბის შესახებ კანონის 21-ე მუხლი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.3 | შშმ პირთა თემთან და სფეროს ექსპერტებთან კონ-სულტაციის გამართვა | კონსულტა-ციები გამართულია | შეხვედრის ოქმი | შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი | | IV კვ. | | | | |
| 1.4 | გასატარებელი ღონისძიებე-ბის ასახვა უწყების ძირი-თადი და რელევანტური პოლიტიკის დოკუმენტებში | უწყების პოლიტიკის დოკუმენტე-ბი შეიცავს შშმ პირთა საჭიროებებს | დამტკიცე-ბული პოლიტიკის დოკუმენტები | შიდასაუწყებო სამუშაო ჯგუფი და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგე-ბელი სტრუქტურუ-ლი ერთეულები | | IV კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | |
| 1.5 | შიდაუწყებრივი საკოორდინაციო მექანიზმის დანერგვა (სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და საქმიანობის წესის განსაზღვრა) | სამუშაო ჯგუფი შექმნილია/საქმიანობის წესი განსაზღვრულია | თავმჯდომარის ბრძანება | უწყების ხელმძღვანელობა | | II კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | |
| 1.6 | ინფრასტრუქტურისა და სერვისების ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება | სამოქმედო გეგმა შემუშავებულია | დამტკიცებული სამოქმედო გეგმა | შიდასაუწყებო სამუშაო ჯგუფი | | IV კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქ-ტები |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **ამოცანა:**<br>არსებული სერვისის შესახებ შშმ პირთა **ინფორმირება** და მომსახურების მიწოდების დროს **კომუნიკაციის მისაწვდომობის გაზრდა** | | | | | | | | | |
| 2.1 | მომსახურების სტანდარტში შშმ პირების მომსახურების კომუნიკაციისა და ქცევის ზოგადი წესების ინტეგრირება | მომსახურების სტანდარტის დოკუმენტში ასახულია შშმ პირთა მომსახურების წესი | მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი, თავმჯდომარის ბრძანება | მომსახურების დეპარტამენტი | | III კვ. | | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონი; სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების,<br><br>ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების სტრატეგია |
| 2.2 | ფრონტ ოფისის/წინა ხაზის თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება შშმ პირთა უფლებებისა და მათი მომსახურების უნარ-ჩვევების შესახებ | ტრენინგი გავლილი აქვს მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს ყველა თანამშრომელს | ტრენინგის ანგარიში | სასწავლო ცენტრი | | IV კვ. | ადმინის-ტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლის „ე“ქვეპუნქტი;სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების სტრატეგია |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.3 | არსებული სერვისების შესახებ **გრაფიკული ვიდეორგოლის** დამზადება (სენსორული დარღვევის-სმენადაქვეითებული, ყრუ, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების საჭიროებების გათვალისწინებით) და გავრცელება | ვიდეორგოლი მომზადებულია და ხელმისაწვდო-მია უწყების საკომუნიკაციო პლატფორმებზე | უწყების სოც. ქსელის გვერდები | საზოგადოებას თან ურთიერთობი ს სამსახური | | III კვ. | ადმინისტ რაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლი მომსახურების დეპარტამენტ ის 2021 წლის სამოქმედო გეგმა |
| 3 | **ამოცანა:** ინფრასტრუქტურის ადაპტირება ეროვნული სტანდარტის შესაბამისად ადაპტირება და[7] **ფიზიკური მისაწვდომობის გაუმჯობესება** | | | | | | | | | |
| 3.1 | შშმ პირთათვის საპარკინგე ადგილის მოწყობა | საპარკინგე ადგილი მოწყობილია და შესაბამისო-ბაშია სტანდარტ-თან | | ადმინისტრა-ციული დეპარტამენტი | | III კვ. | ადმინისტ რაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლი |

[7] „ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2 | მცხეთის სათაო ოფისის შესასვლელში შშმ პირთათვის პანდუსის (ე. წ. რელსების) მოწყობა | პანდუსები მოწყობილია და შეესაბამება სტანდარტს | | ადმინისტრაციული დეპარტამენტი | | IV კვ. | ადმინისტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლი |
| 4 | **ამოცანა:**<br>თანამშრომელთა **ცნობიერების ამაღლება** შშმ პირთა უფლებების შესახებ | | | | | | | | | |
| 4.1 | ტრენინგის ჩატარება შშმ პირთა უფლებების შესახებ | 50 % თანამშრომელი ესწრებოდა ტრენინგს | ტრენინგის ანგარიში | სასწავლო ცენტრი | | IV კვ. | ადმინისტრაციული რესურსი | | | შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის 21-ე მუხლის „ე“ქვეპუნქტი |